15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია!

პირველი მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11(73) 2014 წ. 1-15 ივნისი ფასი 50 თეთრი

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

საქართველოს მომავალი მეცხოვნე და ჭირისუფალნი



ტატო

გიორგი

ლუკა

მარიამი და ნინი

ეთუნა და ანა-მარია

ნიკა

ნიკა

ტატო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომა

30 მაისი, 2014 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჯიაურელი** უძღვებოდა. დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის საფუძველზე მოსმენილ იქნეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ანგარიში „საგარეჯოს 2014 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მოხსენება გააკეთა **ილია ჯიაურელმა** (თანამომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი თამარ უსტიაშვილი).

აღნიშნული საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის I კვარტლის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებით, 2014 წლის 3 თვეში ცვლილება განიცადა ოთხჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 7044,9 ათასი ლარიდან გაიზარდა 10142,1 ათას ლარამდე, ანუ გაიზარდა 3097, 2 ათასი ლარით. კონკრეტულად კი მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა მოხდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №35 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 1834,8 ათასი ლარით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის №34 განკარგულებით – საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 68,4 ათასი ლარით, ასევე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით გამოყოფილი 1014,8 ათასი ლარით; საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 1903,2 ლარი.

მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კი 47 ათასი ლარით გაიზარდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის გადასახადების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით კი ასეთია: საერთო დანიშნულების სახელმწიფო სამსახურის ხარჯები გაიზარდა 60,9 ათასი ლარით; თავდაცვის ხარჯები – 4,8 ათასი ლარით, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯები შემცირდა 240 ათასი ლარით; ეკონომიკური საქმიანობა გაიზარდა1127,9 ათასი ლარით, მათ შორის სოფლის მეურნეობა – 594,2 ათასი ლარით, საავტომობილო ტრანსპორტი და გზები 533,7 ათასი ლარით; გარემოს დაცვა გაიზარდა 10 ათასი ლარით, რაც შეეხება საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაზრდას, იგი 1779,3 ათასი ლარითაა გაზრდილი. მათ შორის წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები 1378,9 ათასი ლარით, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში გაიზარდა 400,4 ათასი ლარით. განვლილ პირველ კვარტალში ჯანმრთელობის დაცვა გაიზარდა 10,1 ათასი ლარით – ამბულატორიული მომსახურება – 10,1 ათასი ლარით. ამავე პერიოდში დასვენების, კულტურის, რელიგიის დაფინანსება გაიზარდა 60,6 ლარით; მათ შორის მომსახურება და დასვენება სპორტის სფეროში – 56,7 ათასი ლარით, კულტურის სფეროში მომსახურება – 13,9 ათასი ლარით, რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა კი 10 ათასი ლარით შემცირდა; 17 ათასი ლარითაა განათლების დაფინანსება გაზრდილი, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება 15,9 ათასი ლარით გაიზარდა; 17,3 ათასი ლარითაა გაზრდილი სოციალური დაცვა. მაგრამ შემცირდა ხანდაზმულთა სოციალური დაცვა 10,5 ათასი ლარით; 27,8 ათასი ლარით გაიზარდა სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შემოსავლები 2014 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 96%-ით. 2014 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმიური 2481,8 ათასი ლარის ნაცვლად შეადგინა 2394,5 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონებაზე გადასახადის გეგმა შესრულდა 85%-ით, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი – 6 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 96 პროცენტით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი – 19 პროცენტით; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – 65 პროცენტით; მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე – 100 პროცენტით, სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 100 პროცენტით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახელებული გაწვევიდან – 100 პროცენტით, ჯარიმები, სანქციები, საურავები – 98 პროცენტით, ძირითადი აქტივები – 78, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან – 94 პროცენტით.

2014 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტი 1886,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 842,7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 52,5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 990,9 ათასი ლარი.

რაც შეეხება 2014 წლის პირველი კვარტლის გადასახადების გეგმას, აქ გეგმა შესრულდა 98 პროცენტით, საიდანაც საერთო დანიშნულების სახელმწიფო დაფინანსების გეგმა 98 პროცენტით შესრულდა, თავდაცვა – 96 პროცენტით, საზოგადოებრივი წესრიგი და მომსახურეობა – 98, ეკონომიკური საქმიანობა – 99, გარემოს დაცვა – 99, საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 99, ჯანმრთელობის დაცვა – 98, დასვენება, კულტურა, რელიგია – 82, განათლება – 93, სოციალური დაცვა – 96.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №9 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ივანე გრძელაშვილმა.

სოფლის მეურნეობა

მთავრობის საგაზაფხულო პროგრამა წარმატებით დასრულდა

ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობაში ბევრი მწვავე და აქტუალური საკითხი დგას, რომელთა გადაწყვეტამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს დარგის განვითარებაზე.

როგორც ყველასათვის ცნობილია, მიმდინარე წელსაც გრძელდება 2013 წელს დაწყებული ქვეყნის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამა. ჩვენმა მუნიციპალიტეტმა „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით“ ბენეფიციარებზე დასარიგებლად მიიღო 8081 ბარათი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იყო ნიადაგის მოხვნა. 2014 წლის საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში ტერიტორიული ორგანოების მიხედვით მოიხნა შემდეგი ფართობები: გომბორი – 41ჰა, უჯარმა – 66, კოჭბანი – 87, იკვლივ გორანა – 15, სასადილო – 6, ხაშმი – 48, კრასნოგორსკი – 6, პატარძეული – 262, ნინოწმინდა – 117, წყაროსთავი – 84, საგარეჯო – 284, გიორგიწმინდა – 119, ანთოკი – 6, თოხლიაური – 67, მანავი – 98, ზემო ბურდიანი – 4, დიდი ჩაილური – 8, პატარა ჩაილური – 37, ვერხვიანი – 18, კაკაბეთი – 38, ბოგდანოვკა – 72, შიბლიანი – 31, ბადიაური – 93, ყანდაურა – 73, ზემო ყანდაურა – 6, თულარი – 85, კაზლარი – 49, მუღანლო – 50, ქეშალო – 29, დუზაგრამა – 29, წიწმატიანი – 5, პალდო – 6, ლამბალო – 1, ზემო ლამბალო – 8, ქვემო ლამბალო – 15,ჰა. სულ პროგრამით 2100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დამუშავდა. წელს მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო კულტურები 7000 ჰა-მდე დაითესა.

პროგრამის წარმატებით შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს მექანიზაციის სერვის-ცენტრის მენეჯერმა გიორგი მარხვაშვილმა და მისმა მექანიზატორებმა. მათი თავდადებული შრომით 1400 ჰა-ზე მეტი მიწა მოიხნა. ამ მაჩვენებლით ისინი ჩვენს ქვეყანაში პირველ ადგილზე არიან.

კარგად იმუშავეს კაკაბეთის შპს „მექანიზატორის“ ბრიგადამ (მენეჯერი შალვა მჭედლიშვილი) და მისმა მექანიზატორებმა: გიორგი მჭედლიშვილმა, დავით გიგოშვილმა, სოსო ჯამალაშვილმა.

ღირსეულად გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს შპს „მექანიზატორის“ ბადიაურის ბრიგადამ – მენეჯერი დავით გველუკაშვილი, ბრიგადის ხელმძღვანელმა ტარიელ გრიქულოვმა, მექანიზატორებმა: ბესო ხორბალაძემ, ამირან ათაბეგაშვილმა, გიორგი ფხალაძემ, გია ბაჩოშვილმა, აჩიკო ჯავახიშვილმა.

უდიდესი მუშაობა ჩაატარა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა გია ბუჩაშვილმა, რომელმაც პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

ზემოაღნიშნული ადამიანების თავდადებული მუშაობით პროგრამის წარმატებით შესრულებას საფრთხე არ დამუქრებია და ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა წარმატებით დასრულდა.

ნიკო ჯავახიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.

სხვა გაზეთებიდან

„ვფიქრობ, კახეთში, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებით, ბევრი დაინტერესდება“

რატომ დაეუფლა ტექნიკოსის პროფესიას 24 წლის გიორგი დეკანოზიშვილი

საგარეჯოს მკვიდრი, 24 წლის გიორგი დეკანოზიშვილი პროფესიით ვეტერიანარია. გასული წლის აგვისტოში „კავკასიის გენეტიკის“ მიერ ტექნიკოსის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების დარგში სტაჟირებაც გაიარა. „ამ ერთ წელიწადში, ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ნათქვამია – სწავლა სიბერემდეო, ამიტომ ამ კომპანიასთან კავშირის გაწყვეტას არ ვაპირებ. მინდა, ყველა ტრენინგში მივიღო მონაწილეობა და ცოდნა კიდევ უფრო გავიღრმავო“,– აცხადებს გიორგი და იმასაც გვიმხელს, რომ სურვილი აქვს სამომავლოდ, ძლიერი ფერმერი გახდეს. დღეს გიორგის ოჯახს, მხოლოდ რამდენიმე სული პირუტყვი ჰყავს. ფერმერობამდე, ახალგაზრდა ვეტერინარის მიზანი ისაა, საგარეჯოს მკვიდრებს დაეხმაროს, ჰყავდეთ უკეთესი ჯიშის პირუტყვი, რომელიც შესაბამისად, მეტად პროდუქტიული იქნება და პატრონს მეტ სარგებელს მოუტანს.

გიორგი დეკანოზიშვილი: 2011 წელს დავამთავრე სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი. მას შემდეგ, მუდმივად ვცდილობ, ჩემ პროფესიაში კურსები გავიარო და ცოდნა ავიმაღლო. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, რომელიმე დარგში, მაგალითად ქირურგიაში, ხელოვნურ განაყოფიერებაში ან სხვა განხრით გამეღრმავებინა ცოდნა და გავმხდარიყავი რომელიმე კონკრეტული მიმართულების ძლიერი სპეციალისტი. „კავკასიის გენეტიკის“ შესახებ მანამდეც მქონდა ინფორმაცია. გასული წლის აგვისტოში კი გავიგე, რომ კომპანიამ ხელოვნური განაყოფიერების სტაჟირებასტან დაკავშირებით მიღება გამოაცხადა და დავინტერესდი.

– „კავკასიის გენეტიკაში“ სტაჟირება როგორ გაიარე?

– კონკურსის წესით ამიყვანეს. ამ სტაჟირების ფარგლებში, პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ვერ ვიტყვი, რომ უკვე ძალიან ძლიერი სპეციალისტი ვარ, რადგან გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ნამდვილად საინტერესო იყო ეს ტრენინგები. დღესაც ვცდილობ, თუ იქნება რაიმე ტიპის გად-

დასასრული მე-3 გვ.

ჩვენი თანამოქალაქე

ამ რუბრიკის შემოღებას ვფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო, სადაც თქვენ გაეცნობით ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ ადამიანებს, ვინც სიახლის, სიკეთის შემოტანას ცდილობს ჩვენთან. იმ ადამიანების საქმიანობას გაგვაცნობს, ვინც გამორჩეული მონდომებით ცდილობს რაიმეში შეეშველოს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას თავისი ნიჭით, უნარით, შესაძლებლობებით.

დღეს ერთ-ერთ მათგანს – გიორგი დეკანოზიშვილს გაგაცნობთ.

ომარ ქიტოშვილი დაიბადა 1982 წლის 13 მაისს, ქალაქ საგარეჯოში. 1988 წელს შევიდა საგარეჯოს №4 საჯარო სკოლაში და დაამთავრა 1999 წელს. ამავე წელს ჩააბარა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე და 2003 წელს დაამთავრა ბაკალავრიატის სრული კურსი, ამავდროულად სწავლა გააგრძელა მაგისტრატურაში, რომელიც დაამთავრა 2005 წელს.

2003-დან 2005 წლამდე მუშაობდა ქ. საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინრად.

2005 წლიდან 2006 წლამდე – საგარეჯო-გურჯაანის ტყის დაცვის ინჟინრად.

2006 წლიდან 2007 წლამდე – საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ხაშმის სატყეო უბნის უფროსად.

2007 წლიდან 2008 წლის ჩათვლით – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების შტაბში არასაიდუმლო საქმის მწარმოებელია.

2009 წლიდან 2010 წლის ჩათვლით – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურშია.

2011 წლიდან 2012 წლამდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის სამსახურისა და მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტია.

2012 წლიდან 2014 წლის აპრილის ჩათვლით მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური

ინფრასტრუქტურა

სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსად.

ამჟამად მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების სამსახურის უფროსად.

ჰყავს მეუღლე დარეჯან ბუჯიაშვილი და შვილები ანა და დავით ქიტოშვილები.

2014 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთელი რიგი ინფრასტრუქტურული ცვლილებები მოხდება. კონკრეტულად, თუ სად და რა სამუშაოები ჩატარდება, სწორედ ამაზე *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამსახურის* უფროსი **ომარ ქიტოშვილი** გვესაუბრება:

პრობლემები – მოგვარდება სოფელი გალამაზდება

– 2014 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მართლაც რომ მნიშვნელოვანი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება. კონკრეტულად: სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების და ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, სასაფლაოების შემოღობვა, გზების მოხრეშვა, სავარგულებამდე მოასფალტებული გზების ორმოული დამუშავება-რეაბილიტაცია, ასევე, მინი-სტადიონის მოწყობა. ეს კონკრეტული საკითხები სოფლების მოსახლეობის მიერ არის არჩეული და დასახელებული, რაც მათთვის პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენდა.

გოგბორში მოხდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია;

რუსიანში – სოფლის შესასვლელში არსებულ ბოგირთან სადრენაჟე სისტემის მოწყობა;

ვერონაში – სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;

ვაშლიანში – სანიაღვრე არხების გაწმენდა;

ასკილაურში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია;

უჯარმაში – „ლაფიან ხევის“ სათავიდან სოფელში შემავალი სასმელი წყლის მილების შეცვლა;

პალდოში – სოფელში არსებულ სასმელი წყლის ქსელზე რეზერვუარის დამონტაჟება, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა;

მუხროვანში – სათავე ნაგებობიდან სოფელში გამოსაყვანი სასმელი წყლის ქსელისათვის შევიძენთ მილებს, შემოიღობება სარწყავი სისტემა;

კოჯბანში – მოხდება სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;

ოთარაანთკარში ჩატარდება მდინარე გომბორულას ნაპირსამაგრი სამუშაოები;

სასადილოში სარიტუალო დარბაზის მშენებლობისათვის სამშენებლო მასალებს შევიძენთ;

გორანაში მოწესრიგდება სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა და შიდა ქსელი;

იკვლივ გორანაში მოხდება სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის და შიდა ქსელის გაყვანა;

ხაშმში – სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;

პატარძეულში – უსტიაანთ უბანში სანიაღვრე არხის მოწესრიგება და გზის რეაბილიტაცია;

ნინოწმინდაში გარემონტდება საბავშვო ბაღის სამზარეულო, „აჭარელების“ დასახლებაში მოხდება სასმელი წყლის გაყვანა, აქვე მოხდება №14 და №31 ქუჩების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა; სავარგულებამდე მისასვლელი გზის ორმოული დამუშავება-რეაბილიტაცია;

წყაროსთავში – სასმელი წყლის სათავე-ანგებობის მოწყობა-მოწესრიგება; შემოიღობება სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა;

გიორგიწმინდაში სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა მინი სტადიონი; ასევე, სოფლის ცენტრში აღდგება დიდების მემორიალი და მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა;

ანთოკში მოხდება კახეთის გზატკეცილიდან სოფ. ანთოკამდე გზის რეაბილიტაცია და მოეწყობა სანიაღვრე არხი; სოფელ ანთოკის რიყიდან სასაფლაომდე მოსწორდება საუნო გზა;

მარიამჯვარში მოხდება სოფ. გიორგიწმინდიდან სოფ. მარიამჯვრამდე გზის მონაკვეთზე დაზიანებული მონაკვეთების მოსწორება-რეაბილიტაცია;

თოხლიაურში – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეცვლა-რეაბილიტაცია; სასმელ წყალზე მოეწყობა გამანაწილებელი;

სათაფლის (კრასნაგორსკი) მიკროავტობუსში ჩამონტაჟდება გაზის მოწყობილობა; მოწესრიგდება სასმელი წყლის შიდა ქსელი, მოეწყობა სათავე ნაგებობა;

მანავში მოხდება სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია; ასევე, დაგეგმილია შიდა გზების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;

ზემო ბურდიანში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

დიდ ჩაილურში შემოიღობება სასაფლაო; რეაბილიტაცია გაუკეთდება სოფლის შიდა გზებს;

პატარა ჩაილურში: მოხდება „ყავრიანთ წყაროს“ შემოღობვა, სათავის შეკეთება; სანიაღვრე არხების მოწესრიგება; შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

კაკაბეთში მოეწყობა „საბას წყლის“ რეზერვუარიდან სოფლამდე და ქსელი და სოფელში საუბნო ონკანები;

ვერხვიანში – სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია; შერემონტდება საბავშვო ბაღის შენობაში იზოლირებული ოთახი;

ყანდაურაში რეაბილიტაცია გაუკეთდება სასაფლაოსთან მისასვლელ გზას; სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება საბავშვო ბაღის 2 ჯგუფის ოთახს;

ზემო ყანდაურაში მოხდება KD ან სხვა ტიპის ტრაქტორის შეძენა;

ბადიაურში – სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა და შიდა ქსელის მოწესრიგება;

ბოგდანოვკაში (მზისგულში) – სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა და რეზერვუარის რეაბილიტაცია; გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია;

შიბლიანში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია;

იორმუდანლოში მოეწყობა სასმელი წყლის ჭაბურღილი; შემოიღობება სასაფლაო;

ქეშალოში სასაფლაოს ტერიტორიაზე მოეწყობა მოსაცდელი; მოეწყობა სასმელი წყლის ჭაბურღილი;

დუზაგრამაში – რეაბილიტაცია გაუკეთდება სასაფლაოს მოსაცდელს და ყოფილი საბავშვო ბაღის შენობას;

პალდოში – სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება 4X4 ფართის ოთახი; რეაბილიტირდება ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა;

წიწმატიანში – რეაბილიტაცია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის;

ზემო ლამბალოში რეაბილიტირებული იქნება სანიაღვრე არხი; შემოიღობება სოფლის ადმინისტრაციული შენობა;

ქვ. ლამბალოში მოხდება შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია; შემოიღობება სასაფლაო;

თულარში – რეაბილიტირდება სარწყავი არხი; შეძენილ იქნება ჭაბურღილის საქაჩი ნასოსი; მოიხრეშება „ჭალის“ ცენტრალური გზა;

კაზლარში რეაბილიტირებული იქნება სოფლის ცენტრალური და შიდა გზები და სარწყავი არხი;

უდაბნოში რეკონსტრუქცია გაუკეთდება სარიტუალო დარბაზს.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებულ სამუშაოებს, აქ უკვე მიმდინარეობს ქალაქის სანიაღვრე არხების აღდგენა; სოფელ ნინოწმინდაში დაგეგმილია გარე წყალსადენის მოწყობა, ასევე, სოფლების: **პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის 4,8 კმ-ის სიბრძის** შემაერთებელი გზის აღდგენითი სამუშაოები, ასევე, აღდგენა მოხდება **გიორგიწმინდის** წყალსადენის, მოხდება **სოფელ ხაშმში** წყალსადენის ცენტრალური მონაკვეთის დაზიანებული ნაწილის შეცვლა, ასევე, სოფელ **გიორგიწმინდა-ანთოკი-მარიამჯვარის** შემაერთებელი, ანთოკის ხევზე გადასასვლელი მცირე ტვირთამწეობის გადასასვლელი ხიდის მოწყობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აღნიშნული სოფლების ერთმანეთთან დაკავშირებას.

– ეს ყველაფერი კარგია. ცოტა არ არის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 70 პროექტის განხორციელება. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ თავად ქალაქშიც მოსაწესრიგებელია მნიშვნელოვანი ქუჩები, ტროტუარები. თუ არის გათვალისწინებული ისეთი ქუჩების მოწესრიგებაც, რომლებიც, ვთქვათ, ცენტრალურ ქუჩებს უერთდებიან და არცთუ ისე უმნიშვნელოა?

– ქალაქის ცენტრალური ქუჩები მოასფალტებულია, მიმდინარე წელს გათვალ;ისწინებულია მისი დაზიანებული მონაკვეთის ორმოული დამუშავება-რეაბილიტაცია.

– სასმელ წყალზე რას იტყვით, დაზიანებულ წყალსადენებზე?

– რაც შეეხება სასმელ წყალს, შემუშავებულია პროექტი, რომლის მიხედვითაც მოხდება მთელი ქალაქის დაქსელვა, გამრიცხველიანება და სასმელი წყლით მოსახლეობის რეგულარული მომარაგება. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყება მიმდინარე წლის ბოლომდე.

– ახალ პროექტებს უნდა ველოდოთ თუ არა?

– რა თქმა უნდა, იქნება ახალი პროექტები. სოფლის კრებები ჩატარდება, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გამოვლინდება სოფლებისათვის პრიორიტეტული საკითხები, რომლებსაც მომავალში საგარეჯოს მუნიციპალიტეტი აუცილებლად გაითვალისწინებს და მათ განხორციელებას ხელს შეუწყობს.

ჩაიწერა თინა ილაურმა

სოფლის მეურნეობა

ჩვენი თანამოქალაქე

„ვფიქრობ, კახეთში, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებით, ბევრი დაინტერესდება“

დასასრული

ამზადება, აუცილებლად ჩავერთო და ცოდნა კიდევ უფრო ავიმაღლო.

– „კავკასიის გენეტიკის“ დამსახურებით მხოლოდ თეორიული ცოდნა შეიძინე თუ პრაქტიკაც გაიარე?

– ჯერ ტიბაანში გავიარე ძალიან საინტერესო კურსი. მერე, 10 დღის განმავლობაში, გურიაშიც გამგზავნეს ხელოვნური განაყოფიერების დარგში ერთ-ერთ სპეციალისტთან. ადგილზე გავდიოდი პრაქტიკას.

– საბოლოდ გადაწყვიტე პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტი იქნები, თუ შეიძლება, მომავალში, ქირურგიაც შეითავსო.?

– დღესდღეობით გადაწყვეტილი მაქვს, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ძლიერი სპეციალისტი გავხდე. საგარეჯოში ვარ დაბადებული. ძალიან კარგად ვიცი სოფელში ადამიანები რა პრობლ;ემების წინაშე დგანან. გული მწყდება, როცა ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების პირუტყვს ვუყურებ – ჯიში გადაგვარებულია. მერე რომ წარმოვიდგენ, საზღვარგარეთ როგორი ჯიშის პირუტყვი ჰყავთ და მათგან რა სარგებელს იღებენ, სურვილი მიჩნდება, ჩვენთანაც ასე იყოს. ჯიშის გაუმჯობესებისათვის, ხელოვნური განაყოფიერება ძალიან კარგია, ხელოვნური განაყოფიერების გაკეთება ბევრს არ სიამოვნებს. მიიჩნევენ, რომ ცოტა არაჰიგიენური საქმეა. მე არ მაქვს ამის პრობლემა. ამ საქმეს დავეუფლე და ყველაფერს გავაკეთებ, საგარეჯოელებს, დავეხმარო იმაში, უკეთესი ჯიშის საქონელი ჰყავდეთ და მეტი სარგებელი მიიღონ. მოკლედ, მინდა, საგარეჯოში, ჯიშების გაუმჯობესებაში ჩემი წვლილი შევიტანო.

– და ფიქრობ, საგარეჯოში გლეხებს ან ფერმერებს ექნებათ სურვილი ეს მეთოდი თავის ფერმაში დანერგონ?

– ვფიქრობ ექნებათ. ვცდილობ საგარეჯოში ყველას მივაწოდო ინფორმაცია იმის შესახებ, რა დადებითი მხარეები აქვს ხელოვნურ განაყოფიერებას. ხალხი დაინტერესებულია და ალბათ, ბევრი ისურვებს, თავის პატარა თუ დიდ ფერმაში, ეს მეთოდი დანერგოს. იმედია, ის გლეხებიც გამოთქვამენ სურვილს, ვისაც, მაგალითად, მხოლოდ ერთი სული პირუტყვი ჰყავს.

– პირადად შენ თუ გყავს პირუტყვი და მათ თუ გაუკეთებ ხელოვნურ განაყოფიერებას?

– ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე სული პირუტყვი მყავს. რა თქმა უნდა, მათ, როცა დრო იქნება, აუცილებლად გავუკეთებ ხელოვნურ განაყოფიერებას. სამომავლოდ ძალიან მინდა ფერმა მქონდეს. ფინანსები რომ იყოს, სიამოვნებით გავაკეთებდი დიდ ფერმას. თუ ძლიერი ფერმერი ხარ, ძლიერი მოქალაქე ხარ, ძლიერი ოჯახი გაქვს და ეს სახელმწიფოსთვისაც კარგია. პროფესია, რომელსაც დავეუფლე, ამ სურვილის განხორციელებაშიც დამეხმარება – ჩემს ფერმაში, თავადვე დავნერგავ ხელოვნური განაყოფიერების მეთოდს და ამით ტექნიკოსის მომსახურების თანხას დავზოგავ.

– როგორ ფიქრობ, ტექნიკოსის პროფესიით ადამიანი ოჯახის რჩენას შეძლებს?

– როგორც მოგახსენეთ, გურიაში ვიყავი სტაჟირებაზე. კახეთისგან განსხვავებით, ამ რეგიონში, მეცხოველეობით ბევრი არაა დაინტერესებული. იქ არც საძოვრებია და არც საქონლის შენახვის ისეთი პირობები, როგორიც ჩვენთან. მიუხედავად ამისა, იმ ადამიანს, ვინც მე პრაქტიკა გამატარა, მინიმუმ 3-4 გამოძახება ჰქონდა და ოჯახს ამით არჩენს. კახეთში მეცხოველეობას ბევრი მისდევს. აქ ფერმერებიც ბევრია. ამ ფონზე, იმედი მაქვს, ამ მეთოდით ბევრი დაინტერესდება და საქმეც გამოულევად მექნება. თან, ხომ იცით, ცოტა ერთმანეთის წამხედვარე ხალხი ვართ – ადამიანი რომ დაინახავს, მისმა მეზობელმა თავის პირუტყვს ხელოვნური განაყოფიერება გაუკეთა, უკეთესი ჯიშის ხბო მიიღო და მეტი სარგებელი ნახა, თვითონაც მოუნდება. მე კი, მაქსიმალურად ვეცდები, საქმე, რომელმაც ძალიან დამაინტერესა და რომელსაც დავეუფლე, იდეალურად გავაკეთო.

გაზეთი „მწყემსი“

№11(73) 2014 წელი, 1-15 ივნისი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის საგარეჯოს ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებში წარდგენილი საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატები, ოლქში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები და გამგებლობის კანდიდატები

„ამ არჩევნებით კიდევ ერთხელ გაიზომება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობისა და თავისუფლების ხარისხი“.
– საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი

გომბორი

ნანული ჭინჭარაული – №5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დავითი არაბული №41. ქართული ოცნება
გოჩა ლაშქარაშვილი № 42 დამოუკიდებელი

კოჯბანი

გიორგი ქვლივიძე
№ 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
თამაზი აბგაიძე №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
გოჩა მისრიაშვილი №41. ქართული ოცნება
ზვიად წიკლაური №42 დამოუკიდებელი

უჯარმა

თეიმურაზი ქისტაური
№3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ვაჟა ჯავახიშვილი 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ანზორ ილურიძე №41. ქართული ოცნება
კონსტანტინე ღოღელიანი №42 დამოუკიდებელი

ხაშმი

ნანა მარმარაშვილი №2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა1
ვანო ქარუმიძე №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
მანანა ქურდოვანიძე №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ავთანდილ მამუჩიშვილი №41. ქართული ოცნება
ილია მაჭავარიანი №42 დამოუკიდებელი
ნიკოლოზი თევდორაშვილი №43 დამოუკიდებელი

პატარძეული

ზაზა ცხვარიაშვილი№ 1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
დავითი მარხვაშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ლაშა ცხვარიაშვილი№5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
თეიმურაზ ნარიმანიშვილი №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
ნატალია ბოჭორიძე №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა
გიორგი ჭინჭარაძე 41. ქართული ოცნება
კობა ლაფერიშვილი№ 42 დამოუკიდებელი

ნინოწმინდა-წყაროსთავი

ნატო გრძელაშვილი №2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა
გიორგი შოშიაშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
კობა კერატიშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ნანა რევაზიშვილი №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია
თეიმურაზ ბექიტაშვილი №26. სახალხო პარტია
ელდარ მეფარიძე 41. ქართული ოცნება
შიო შიოშვილი №42 დამოუკიდებელი
ივანე გძელაშვილი №43 დამოუკიდებელი
გიორგი მღებრიშვილი №44 დამოუკიდებელი

საგარეჯო

კახაბერი ლაფერიშვილი №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
დავით ქურხული №2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა
ვალიკო ოთარაშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ზურაბ ქურთიშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ჭაბუკა ჭანტურია №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
გიორგი ქვლივიძე 9. თვითმმართველობა ხალხს!
გელა ყორღანაშვილი №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა
ნინო მეტრეველი№20.შალვაᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ საქართველოს ლეიბორისტული პარტია
თამაზი არიშვილი №26. სახალხო პარტია
ფრიდონ ბურდული №41. ქართული ოცნება
მიხეილ დარბაისელი №42 დამოუკიდებელი
ვახტანგი ქურდოვანიძე № 43 დამოუკიდებელი
დავითი ლაფაჩიშვილი №46 დამოუკიდებელი

გიორგიწმინდა

გელა დიღმელაშვილი №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
იოსები ერბოწონაშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ეკატერინე ჭიაბერაშვილი№5.ერთიანინაციონალური მოძრაობა
თამაზი გულისაშვილი №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
დავითი სოზაშვილი №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა
ივანე ბექიაშვილი №41. ქართული ოცნება

კრასნაგორსკი

ალექსანდრე ჩაფიძე №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
ინგა დვალაშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
მიხეილ კაზაკოვი №41. ქართული ოცნება

თოხლიაური

იოსები იმედაშვილი №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
გიორგი ფარეშიშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
გიორგი ქოქიაური №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დავითი ტაპატაძე №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
ნონა ბუზარიაშვილი № 41. ქართული ოცნება

მანავი

ვაჟა ბაზერაშვილი №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
დიმიტრი სტეფანიშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ზურაბ ფეიქრიშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
გივი დუჩიძე №41. ქართული ოცნება
ნიკო გიუაშვილი №42 დამოუკიდებელი

ჩაილური

არჩილი ყავრიშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
მალხაზ გრძელიშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ნანა აფციაური №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა
გივი გორელიშვილი №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია
ბესიკ მარტიაშვილი 41. ქართული ოცნება

კაკაბეთი

ელგუჯა აგულაშვილი №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
ნატო ქურდოვანიძე №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ზურაბი მჭედლიშვილი 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
თეიმურაზი მჭედლიშვილი №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია
თამარი სუხიაშვილი №41. ქართული ოცნება
ალიხანი მჭედლიშვილი №42 დამოუკიდებელი
ოთარი მჭედლიშვილი №43 დამოუკიდებელი

ყანდაურა-ბადიაური

ბესიკი ჩოკოშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ავთანდილ ჩალათაშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დავითი ხარებაშვილი №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
კახა ადუაშვილი 41. ქართული ოცნება
იოსები ათაბეგაშვილი 42 დამოუკიდებელი
თამაზი გურგენიშვილი № 43 დამოუკიდებელი

ბოგდანოვკა

ბადრი ზირაქაშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ნოდარი ზირაქაშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
სოსო ჭიკაძე №41. ქართული ოცნება

შიბლიანი

ლია მოძმანაშვილი №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)
ალექსი ჭამიაშვილი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ლევან ზირაქაშვილი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
თამაზ ხუროშვილი №41. ქართული ოცნება
ზურაბი ხუროშვილი № 42 დამოუკიდებელი
ლევანი ჭამიაშვილი №43დამოუკიდებელი

იორმუღანლო-ქეშალო-მუღანლო

ორუჯ კულიევი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
გულუჰაჯიევი №41. ქართული ოცნება
ვალეხ შირინოვი №42 დამოუკიდებელი

ლამბალო-ზემო და ქვემო ლამბალო

ილჰამ კაიბოვი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
მირჰეიდარ ალიხანოვი №41. ქართული ოცნება
კაზანფარ მამედოვი №42 დამოუკიდებელი
სეითპატალი აშიროვი №43 დამოუკიდებელი

თულარი-კაზლარი

აიათ ხეირხაბაროვი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ადამ ედიგაროვი 41. ქართული ოცნება
ფადირხან ხეირხაბაროვი №42 დამოუკიდებელი

დუზაგრამა

თოფიქ ხიდიროვი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ხაიალ გასანოვი №41. ქართული ოცნება
ჰაჯან ალიევი №42 დამოუკიდებელი

უდაბნო

ჯაბა გულბანი №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია
ბექა გულბანი №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ალექსი იოსელიანი №41. ქართული ოცნება
მამუკა გვარლიანი №42 დამოუკიდებელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები

დავით მაისაშვილი – „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“
ბარსევან ბუხნიკაშვილი – ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
გიორგი გზირიშვილი – ბლოკი „ქართული ოცნება”
ივანე დემეტრაშვილი – ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)”
თენგიზ სონიშვილი – „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“
სოსლან ბარსევანიშვილი – „დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”
ალექსი არაბული – „სახალხო პარტია“

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა რიგითი ნომრები

1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე
2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა
3. ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია
5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
8. დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
9. თვითმმართველობა ხალხს
18. სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა
20. შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია
26. სახალხო პარტია
41 ქართული ოცნება

საქართველოს განათლების სამინისტროს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება

აცხადებს

საბაზო და საშუალო განათლების მძრნე აბიტურიენტთა მიღებას 2013-2014 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბუღალტერი – მესამე საფეხური
2. ეძთნის თანაშემწე – მესამე საფეხური
3. ოფისის მენეჯერი – მეორე და მესამე საფეხური
4. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი – მესამე საფეხური

სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა

სახელმწიფო პროფესიული დიპლომი

სწავლის ღირებულება წელიწადში – **800 ლარი**

სტუდენტი ვაჟებისათვის სწავლის პერიოდში განხორციელდება გადავადება სამხედრო სამსახურიდან.

სასწავლებელში მიმდინარეობს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსები:

მოქმედ ბუღალტერთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსები „ორის-ის" კომპიუტერული პროგრამით – სერთიფიკატით – 250 ლარი.

კომპიუტერის ოპერატორის მომზადების კურსი საოფისე პროგრამებით – სერთიფიკატით – 150 ლ.

აბიტურიენტთა მომზადების კურსები ეროვნული გამოცდებისათვის 1 საგანი თვეში 80-100 ლარი გარნტიით.

ინგლისური ენის შესწავლა გაძლიერებული კომპიუტერული კურსით – სერთიფიკატით – 350 ლ.

საგანმანათლებლო დაწესებულება არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით– გთავაზობთ სწავლას შემდეგ სპეციალობებზე:

ბანკის ოპერატორი
გიდი
ბაგა-ბაღის აღმზრდელი
დაცვა და პატრულირება
მასაჟისტი
ფარმაცია
კრიმინალისტიკა

კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სპეციალობის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი მშობლიურ და საერთაშორისო ენებზე.

სწავლის ღირებულება წელიწადში – 400 ლარი

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ქ. საგარეჯო. გ. ლეონიძის ქ. №33ª (კომისარიატთან)

ტელ: **- 0(351) 24-24-36; 555 513-228; 598 650-849.**

www.iliaedu.ge, E-mail: iliasagarejo@gmail.com

მოსწავლე-ახალგაზრდობამ ძალები გამოსცადა

2014 წლის 26 მაისს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა ტრადიციული უმცროსკლასელთა (VI--VIII) და უფროსკლასელთა (IX -- XII) ინტელექტთამაშები, რომელიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. უმცროსკლასელთა ინტელექტთამაშს უძღვებოდა ქ-ნი ლია ქვლივიძე, მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, № 3, № 4 და პატარძეულის საჯარო სკოლების გუნდები. შეჯამდა წლის შედეგები, რომლის მიხედვითაც I ადგილი დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდმა, პედაგოგი ქ-ნი მარინა გულისაშვილი, II ადგილი გაინაწილეს საგარეჯოს № 4-- პედაგოგი ქ-ნი ქეთევან ქვლივიძე, და პატარძეულის საჯარო -- პედაგოგი ქ-ნი თამარ გულიაშვილი ---სკოლების გუნდებმა , III ადგილი წილად ხვდა საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის გუნდს. ამავე დღეს, 3 საათზე გაიმართა უფროსკლასელთა ინტელექტთამაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1 (პედაგოგი ქ-ნი მარინა შაქარაშვილი), საგარეჯოს № 4 (პედაგოგი ქ-ნი ქეთევან ქვლივიძე), მანავის 2 გუნდი და ხაშმის საჯარო სკოლის გუნდი... აღსანიშნავია, რომ ხაშმის საჯარო სკოლის გუნდიდან მხოლოდ 2 მოსწავლე თამაშობდა...თამაშს ტრადიციულად უძღვებოდა ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი ბადრი დრეიძე. აქაც წლიური შედეგებით I ადგილი წილად ხვდა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდს, II ადგილი დაიკავა № 4 საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო III -- ხაშმის საჯარო სკოლის გუნდმა... თამაშების მონაწილენი დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მადლობის ფურცლები თანამშრომლობისათვის გადაეცათ აღნიშნული სკოლების დირექტორებს და გუნდების პედაგოგებს, გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ წიგნებით.

2014 წლის 28 მაისს, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, დუზაგრამის ქართული ენის ცენტრის, იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებლის თეა გურგენიძის და საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მეთოდკაბინეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში იორმუღანლოში ჩატარდა „მეგობრობის დღესასწაული", რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა... კონცერტში აზერბაიჯანელი ბავშვების გვერდით მონაწილეობდნენ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების, პატარძეულის, საგარეჯოს № 1, № 3 საჯარო სკოლების ბავშვთა ვოკალური სტუდიის (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი), საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული სტუდიის (ხელმძღვანელი თინათინ სუხიაშვილი) მოსწავლეები. შეკრებილთ მიესალმა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა იორმუღანლოს ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა

მუბარიზ მამედოვმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნინო ფურცელაძემ, მეთოდისტებმა: ალექსანდრა მატვიევიჩმა და ნანა მახარაძემ.

2014 წლის 1 ივნისს, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით, გამგეობის ახალგაზრდული განყოფილების და აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების" თანადგომით, საგარეჯოს კულტურის სასახლის მიმდებარე სკვერში გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი პატარებისათვის...საღამოს 5 საათზე გადაიკეტა მოძრაობა და პატარა მხატვრებმა საგარეჯოს ოთხივე, პატარძეულის, მანავის, თოხლიაურის საჯარო სკოლებიდან და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან ასფალტზე ხატვა დაიწყეს... იქვე, სკვერში გაიმართა გამოფენა თემაზე: „აკვარელის შესაძლებლობები"... საზეიმო კონცერტი „შავფაროსნებმა" (ხელმძღვანელი: ლევან ოქროპირიძე) გახსნეს... მათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორის ჯგუფი მოჰყვა, ირინა ბაირამაშვილის, თეა ხატიაშვილის და მარინა ურდულაშვილის სტუდიების პატარა მომღერლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეებმა თინათინ სუხიაშვილის ხელმძღვანელობით, პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ ქელივიძემ და თამარ ცხვარიაშვილმა...ამ დღის ყველა მონაწილემ იგემა საჩუქრად ნაყინი...

2014 წლის 8 ივნისს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე მასპინძლობდა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების, იორმუღანლოს საჯარო სკოლის და ბავშვთა ვოკალური სტუდიის (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი) მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს. ამ დღის ღონისძიებები 28 მაისის ლოგიკური გაგრძელება იყო... ეს იყო დაუვიწყარი დღე ჩვენი მოსწავლეებისათვის. აქ მოსულთ ძალიან თბილი გარემო დახვდათ... სარკეებიან დარბაზში მათ მხიარული თამაშობები ითამაშეს, იმღერეს, დაუკრეს, გაერთნენ.... შემდეგ ჯგუფებად გაიყვნენ და პირველი ვიზიტი პლანეტარიუმში გააკეთეს, დაათვალიერეს არქეოლოგიის, ქართული ენა-ლიტერატურის, მხარეთმცოდნეობის, ხატვის და სხვა კაბინეტები... ხატვის ოთახში გაკვეთილიც ჩაუტარდათ და დახატეს კიდეც... მეტად საინტერესო შეხვედრა მოუწყო „პიონერფილმმა" (კაბინეტის გამგე გრიშა ჩიგოგიძე); აქ მათ აჩვენეს, როგორ იქმნებოდა „პიონერფილმი", როგორ ხდება სცენარზე მუშაობა, გადასაღები მოედანი და მინიატურული ფილმები... საღამოს კი გაიმართა სასახლის მუსიკალური სტუდიის და საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის ბავშვების ერთობლივი კონცერტი, რომელშიც იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, კონცერტი კი გახსნა მომღერალმა ენრიკო ჯანელიძემ, რომელმაც ქართულ-სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე შეასრულა სიმღერები... დასრულდა მეგობრობის დღესასწაული, მაგრამ არ დასრულებულა პროექტი. ამ ღონისძიებებით დიდ მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც კვლავაც გაგრძელდება ახალი სასწავლო წლიდან.

თამარ ჯაბადარი,
აკ(ა) იპ-ი საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

განათლება

სასარგებლო პროექტების განსახორციელებლად

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა ინტერნატიონალ-ის მხარდაჭერით ხორციელდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 60-ზე მეტ სკოლაში. იგი გულისხმობს სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბებას, რომლებიც მიზნად ისახავენ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და მოსწავლეთა აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში და ჩვენი სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ქალბატონი მთვარისა ბადათრიშვილის მიერ გაწეული დიდი შრომის შედეგად 2011 წელს ქალაქ საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო კლუბი „ავანგარდი", რომლის ლიდერიც ახლა მე, ანი ლალიაშვილი გახლავართ. ამ დღიდან მოყოლებული, ჩვენ ძალიან ბევრი საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტი განვახორციელეთ, მიმდინარე კი არის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ საგარეჯოში სკვერის უზრუნველყოფას უფასო ინტერნეტით, საჭადრაკო დაფებითა და ადგილობრივი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარით.

ეს პროექტი საგარეჯოს რაიონის სამოქალაქო კლუბებმა, ერთად, 2013 წლის ნოემბერში, კახეთის ახალგაზრდული ფორუმის გართობისა და რეკრეაციის თემის ფარგლებში დაგწერეთ და მასში თითოეული მოსწავლისა და ჩვენი ფასილიტატორის, ქალბატონი გიული მინესაშვილის ძალიან დიდი შრომაა ჩადებული, სამოქალაქო განათლების სხვა პედაგოგებთან ერთად. ჩვენმა პროექტმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების და ადგილობრივი მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია და მათ დახმარების სურვილი გამოთქვეს. ამის შემდეგ ჩვენი კლუბების წარმომადგენლები შეხვდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ჭიაურელს და ჩვენი იდეა უფრო ახლოდან გააცნეს. ადგილობრივმა თვითმმართველობამ ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია: 2014 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 2000 ლარის ოდენობით თანხა გამოიყო ჩვენი იდეის დასაფინანსებლად.

ჩვენ უკვე დავიწყეთ აღნიშნული პროექტის განხორციელება: 29 მაისს გავამწვანეთ სკვერი და უკვე დავიწყებთ პროექტის სხვა ეტაპების განხორციელებასაც.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამასა და ინტერნატიონალ-ს, ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და, რა თქმა უნდა, ჩვენს პედაგოგებს, რომლებიც, ჩვენ, მოსწავლეებს, მაქსიმალურად გვეხმარებიან იმაში, რომ ხორცი შევასხათ იმ იდეებს, რომლებიც გვიჩნდება და სარგებელი მოვუტანოთ საზოგადოებას. ეს პროგრამა არის ნამდვილად დიდი შესაძლებლობა ნებისმიერი ჩემი თანატოლისთვის და მე მოვუწოდებ ყველა მათგანს, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი თავი და მონაწილეობა მიიღონ კლუბურ საქმიანობაში.

ანი ლალიაშვილი,
საგარეჯოს IV საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „ავანგარდის" ლიდერი

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს!“

ᲑᲘᲭᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ -

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲥᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ-75

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲣᲚᲘ - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი სამბოში (ვეტერანები), საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში:“.. .იშვიათს მოიძებნება ჭიდაობის ოთხივე სახეობაში (ქართული ჭიდაობა, სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო), ასევე, მწვრთნელის რანგში, საზოგადოებრივ თუ მენეჯერულ - ორგანიზატორულ საქმიანობაში - ისეთივე წარმატებული ადამიანი, როგორიც იყო და არის ბიჭიკო მარიდაშვილი! განუზომელია მისი ამაგი და დამსახურება, როგორც ქართული სპორტის განვითარების, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც მისაბაძი და მაგალითის მიმცემია ახალგაზრდა თაობისათვის! თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც ჭიდაობაში, ასევე, ვაჟკაცობაში, ცხოვრებაშიც ჩემპიონი კაცია!“

იმ სასახელო მამულიშვილთა შორის , რომლებიც აღუზარდა გარეჯის მიწამ – საგარეჯომ მსოფლიოს, საქართველოს - ბიჭიკო მარიდაშვილსაც ერთ-ერთი გამორჩეული, საპატიო ადგილი უკავია. საქართველოს ჭიდაობის ყოფილი პრეზიდენტი ნ. იაშვილი აღნიშნავდა, რომ “... საქართველოს იმ გამოჩენილ სპორტსმენთა შორის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ჭიდაობის განვითარების ისტორიაში, ბიჭიკო მარიდაშვილს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი იყო უნივერსალური მოჭიდავე, რომელიც ერთნაირად ფლობდა ქართულ ჭიდაობას და სამბოს, ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობას. ძნელია ყველა იმ მიღწევათა ჩამოთვლა, რომლებიც ბიჭიკომ მოიპოვა ჭიდაობის ამ სახეობებში რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე. მის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს დღესაც ახსოვს თბილისის სპორტის სასახლეში მის მიერ ჩატარებული ულამაზესი ორთაბრძოლები, რომელთაც აღფრთოვანებაში მოჰყავდათ ჭიდაობის ჭეშმარიტი ქომაგნი. ასეთივე წარმატებული იყო და არის ბიჭიკო მარიდაშვილი, როგორც მწვრთნელ-პედაგოგი და როგორც ორგანიზატორი საზოგადოებრივ თუ სპორტულ ცხოვრებაში!...”

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ბიჭიკო ალექსის ძე მარიდაშვილის წინაპრები წამოსულები არიან კასპის რაიონის, სოფელ გომიდან. მამა იყო მეურნე კაცი, დედა ნინა სონიშვილი - დიასახლისი. ბიჭიკოს ჰყავდა და-ძმა. და მაყვალა მარიდაშვილი, განათლებით ბუღალტერი წლების განმავლობაში მუშაობდა “გმკ”-ში ბუღალტრად, ხოლო ძმა სულიკო იყო ავტოინჟინერი. სამწუხაროდ, ბიჭიკოს და-ძმა 2013 წელს გარდაიცვალნენ.

გვარში თუ იყო ჭიდაობის ტრადიციები?

გვარში უჭიდავია მის ბიძაშვილს სამსონ მარიდაშვილს, რომელიც მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქალაქ ბრესტში. იქ აწყობდა პოლკის პირველობებს ქართულ ჭიდაობაში, მას მოუთხოვია და მისთვის გადაუგზავნიათ ქართული ჭიდაობის ჩოხები. იგი ყოფილა დვიზიის ჩემპიონი, ჭიდაობის თავკაცი. სამამულო ომის დაწყებისთანავე გმირულად დაღუპულა.

ასევე, ჭიდაობდა მისი მეორე ბიძაშვილი - შურა მარიდაშვილი. 1958 წელს კასპში გამართულ საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, როცა ბიჭიკომ ფინალში დაამარცხა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სამბოში ლავრენტი კაციაშვილი - გაიცნო კასპელი მოჭიდავე მარიდაშვილები!

– ბატონო ბიჭიკო, რომელი სკოლა გაქვთ დამთავრებული და როდის? თქვენი თაობის საგარეჯოელი მოჭიდავეები ვინ იყვნენ?

– სოფელ გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საგარეჯოს №1 საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორი იმ დროს იყო ქართული ჭიდაობის დიდი მოყვარული და გულშემატკივარი მიხეილ მანდარია, ამ დროს სკოლაში მოღვაწეობდნენ ბრწინვალე პედაგოგები, რომელთაგანაც გამოვეყოფდი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ელენე გოდერძიშვილს, ისტორიის მასწავლებელს მალაქია გობეჯიშვილს, ფიზკულტურის მასწავლებელს ვალიკო ოდიკაძეს, გეოგრაფიის მასწავლებელს ვანო მათიაშვილს და სხვ.რომლებისგანაც ვისწავლეთ სამშობლოს სიყვარული, ზრდილობა, თავაზიანობა და ყველა ის კარგი თვისება, რაც ჭეშმარიტ ქართველ ადამიანს უნდა გააჩნდეს. სკოლის წლებიდან ჩემთვის საამაყო იყო ჭიდაობის რაინდთან - ანზორ ზურაბაულთან მეგობრობა, რომლისგანაც არამარტო ჭიდაობის, არამედ კაცობის ბრწყინვალე გაკვეთილებიც ვისწავლე.

ჩემი თაობის საგარეჯოელი მოჭიდავეები იყვნენ - ანზორ ზურაბაული, მურთაზ ელერდაშვილი, ოთარ ოტიაშვილი, ილია ქვლივიძე, სპარტაკ ქარსაულიძე, ზაურ ქურხული, ბიძინა და თამაზ კევლიშვილები, მიშა ქურხული, ვაჟა ქიხოსროშვილი, შოთა დავითელაშვილი, სულიკო ზალიკაშვილი, ოთარ (ოთუა) მათიაშვილი, ავთო მეურმიშვილი და სხვები.

– ვინ გაზიარათ ჭიდაობის საიდუმლოებას?

– სოფელ გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის მე-9 კლასში გადასვლის შემდეგ ერთი დღით მივედი ვარჯიშზე თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილის პირველ მწვრთნელთან ვანო მეკოკიშვილთან. მან ვარჯიშზე არ მიმიღო, მითხრა: - სუსტი ხარ, ხათაბალა გამიხდებიო, ამის შემდეგ ვარჯიში დავიწყე ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ პატრიარქთან, ლეგენდარულ მოჭიდავე შალვა გზირიშვილთან. თითქმის 6 თვე დავდიოდი ვარჯიშებზე, სადაც ვეზიარე ქართული ჭიდაობის საიდუმლოებებს, მაგრამ იმდენად მაინტერესებდა თავისუფალი ჭიდაობა, რომ ძალიან მინდოდა ვანო მეკოკიშვილთან მევარჯიშა თავისუფალ ჭიდაობაში, რომლითაც გავიდოდი დიდ საჭიდაო არენაზე. ჩემი ძმა და ვანო მეკოკიშვილი ძმაკაცები იყვნენ. ეს რომ გავიგე, ვანოსთან “პროტექტორად” მივგზავნე და 8 თვის შემდეგ მიმიღო თავისუფალი ჭიდაობის სექციაში.



– როგორი იყო პირველი ნაბიჯები დიდ სპორტში და როგორი იყო შემდგომი წარმატებები?

– საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში თავისუფალი ჭიდაობის განხრით, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ამავე ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე, რადგან დასწრებულზე ქულები არ მეყო, შემდგომში გადავედი დასწრებულზე, რომლის დამთავრების შემდეგ დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ფიზიკური კულტურის და სპორტის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლისას მუშაობა დავიწყე სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად. საჭიდაო დარბაზი გავხსენით მიტოვებულ ეკლესიაში და ბავშვებს დავაწყებინეთ ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში. იმ წელს სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობის გუნდი გახდა რაიონის ჩემპიონი ფეხბურთში, ხოლო ქართულ ჭიდაობაში, რომლის შემადგენლობაში მეც ვმონაწილეობდი - დავიკავეთ მეორე ადგილი. 1960 წელს პირველად ვიჭიდავე საქართველოს პირველობაზე სამბოში და გავხდი საქართველოს ჩემპიონი, დავამარცხე რა საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორი - ანზორ მარტყოფლიშვილი და გულარ სვიმონიშვილი. ერთი წლის შემდეგ ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში გავაგრძელე მსოფლიოში ცნობილ მწვრთნელთან მიხეილ თიკანაძესთან. გავხდი თავისუფალ ჭიდაობაში სსრკ-ს ნაკრების კანდიდატი. 1963 წელს მოვიპოვე საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში, ორჯერ მაქვს მოპოვებული ვერცხლის მედლები სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობებზე. დასწრებული განყოფილების დამთავრების შემდეგ გავაგრძელე ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში და საკმაოდ პერსპექტიულ მოჭიდავედ ვითვლებოდი, მაგრამ გაწვეული ვიყავი საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო სამსახურში მისვლისთანავე მონაწილეობა მივიღე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაზე სამბოში და მოხდა გაუგებრობა - ფინალში ქულებით დავამარცხე მოსკოველი ილიუშინი და გამომაცხადეს ჩემპიონად, ხოლო 4 წუთის შემდეგ რუსმა მსაჯებმა მოითათბირეს და ჩემპიონად ილიუშინი გამოაცხადეს, რათა მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაკრები გაეხადათ გამარჯვებული. თითქმის ათი წელი გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობებზე და ყოველთვის პურველ ან მეორე ადგილებს ვიკავებდი. 1963 წლიდან ვიყავი საქართველოს ნაკრების წევრი სამბოში, რომლის მთავარი მწვრთნელი იყო ცნობილი მოჭიდავე და მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი. ორჯერ მაქვს აღებული გუნდთან ერთად საკავშირო პირველობებზე მეორე ადგილი, ერთხელ მესამე ადგილი. სამჯერ ვიყავი საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორი (პირადში); დამარცხებული მყავს მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავეები, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები, მოსკოველი ილიუშინი, ლენინგრადელი ნატალენკო, მოსკოველი ტერონი, ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ანზორ მარტყოფლიშვილი, ევროპის ჩემპიონი როინ მადალთაძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თენგიზ არაბული, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი უკრაინელი მელნიჩენკო, საბჭოთა კავშირის პირველობებზე მსაჯების არაობიექტურობის გამო ორჯერ დავკარგე ჩემპიონობა. სამჯერ ვიყავი მესამე პრიზიორი და სამჯერ მეოთხე; 12-ჯერ გავხდი ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი.

ერთი მოჭიდავისთვის ფრიად შთამბეჭდავი შედეგებია!

– კურიოზები, რომლებიც გადაგხდენიათ როგორც ცხოვრებაში, ისე სპორტში?

- ცხოვრების გრძელ მანძილზე, რომელიც გამოვიარე, კურიოზებს რა გამოლევს. მოვიგონებ ორიოდე კურიოზს: - ... ჭიდაობა ახალი დაწყებული მქონდა, ზოგ-ზოგი ჭიდაობის ფანდები ვიცოდი, ტარდებოდა რაიონის სპარტაკიადა. მამაჩემმა მითხრა სწორედ იმ დღეს - ვენახში წამოდი, გათოხნა მიშველეო, რადგან ოჯახში ჭიდაობაზე სიარულს მიშლიდნენ. მამას უარი ვერ ვუთხარი, რომ რაიონის სპარტაკიადაზე უნდა მეჭიდავა, წავყევი ვენახში სამუშაოდ. ვმუშაობ ჩქარა, სანამ მამაჩემი ერთ პლანს გათოხნის, მე ორი მომაქვს, ჩემი აზრით მალე უნდა მოვრჩე და წავიდე საჭიდაოდ. მამა კი მეუბნება - ეგრე მუშაობა არ შეიძლება, ნელა უნდა იმუშაო ხარულადაო. ამ ლაპარაკში მე და მამაჩემი მივედით ვენახის ტახტებს შორის ცარიელ ადგილზე. მე ვუთხარი მამას - მოდი ვიჭიდაოთ, მე დაგეჭიდები უხელოდ და თუ წაგაქცევ, გამიშვი საგარეჯოში საქმე მაქვს - მეთქი. მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო და სიცილით მითხრა: - მკვდარი ხომ არ ვარ, რომ უხელოდ წამაქციო. დავიწყეთ ჭიდაობა, მივახტი ე.წ. “მაკრატელაზე” და წავაქციე, წამოვხტი და მაშინვე საგარეჯოში გავიქეცი და სპარტაკიადის ჩემპიონიც გავხდი. სახლში ცოტა გვიან მივედი. მამაჩემი ვენახიდან არ იყო მოსული, მაშინ მანქანები სად იყო, ჩავედი ვენახში და მამაჩემი სადაც დავტოვე ისევ იქ დამხვდა: თურმე ჭიდაობისას ფეხი მომიტეხია და ცხენამდე ვეღარ მისულა. შემდგომში შეჯიბრებებზე ბიჭები მეძახდნენ ხოლმე - მამაშენს რომ ფანდი გაუკეთე, ის გააკეთო! ეხლა ვბრაზობ ჩემს თავზე, მაშინ 15-16 წლის ვიყავი და ჭკუა არ მქონდა!

ᲑᲘᲭᲘᲙᲝ მარიდაშვილი მართალია ვერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თუმცა სისტემატურად ამარცხებდა უძლიერეს ფალავნებს. ამასთან დაკავშირებით ასეთ კურიოზს ჰქონდა ადგილი - კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე სამბოში რამდენიმე ქართველი მოჭიდავე ასპარეზობდა და როგორც წესი ყველა ისინი გამარჯვების ფავორიტთა შორის იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი მისულა ბიჭიკოსთან და უთხოვია - შეხვედრა დამითმეო, მაგრამ ბიჭიკოს უარი უთქვამს. ვიჭიდაოთ და ვინც ძლიერია, იმან გაიმარჯვოსო. ის შეხვედრა ბიჭიკოს მოუგია. დამარცხებული მისულა მეორე ქართველ მოჭიდავე თენგიზ არაბულთან - დამითმეო. იმასაც უარით უპასუხია, მაგრამ არაბული დამარცხებულა. გამარჯვებულს ნიშნის მოგებით უთქვამს: - მაინც ხომ მოვიგეო. გაბრაზებულ არაბულს უპასუხია: - ვნახოთ, როგორ გახდები ჩემპიონი, ახლა მე მარიდაშვილს დავუთმობ და ჩემპიონი ის გახდება, რადგან შენთან მოგებული აქვსო! არავინ იცის, მართლა ასე მოიქცა თუ არა, მაგრამ როცა მარიდაშვილი შეხვედრის წინ გასახდელში შესულა, ვეღარ გამოსულა, კარები ვიღაცას საგულდაგულოდ ჩაეკეტა გარედან. ვერავინ გაიგო ვინ ჩაუკეტა კარი და სანამ ბიჭიკო იქიდან გამოაღწევდა, ამასობაში გამოუცხადებლობის გამო ასპარეზობიდან მოუხსნიათ! ფაქტიურად ასე დააკარგვინეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა!

– ვინ იყვნენ თქვენი კერპები ჭიდაობაში და საერთოდ ცხოვრებაში?

– ჩემი სათაყვანო კერპები იყვნენ – ჭიდაობის და ვაჟკაცობის რაინდები – ლევან თედიაშვილი, ანზორ ზურაბაული და რომან რურუა! აქვე დავძენ, რომ ყველა დროის უდიდეს მოჭიდავედ, შეიძლება ითქვას “ჭიდაობის მეფედ” – ლევან თედიაშვილი უნდა ვაღიაროთ.

– რა არის თქვენი აზრით იმის მიზეზი, რომ ლეგენდარული ლევან თედიაშვილის, არსენ მეკოკიშვილის მსგავსი ჭიდაობის ვარსკვლავები უკვე ათეული წლებია არ ჩანან საჭიდაო არენაზე?

– ლევანის და არსენას მსგავსი მოჭიდავე საუკუნეში ერთი იბადება და დაიბადებიან კიდევაც მომავალში!

ᲕᲐ არმატებული გამოდგა ბიჭიკოს დებიუტი და საქმიანობა მწვრთნელის ამპლუაშიც – მისი აღზრდილები არიან : - სსრკ-ს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის გია ხოსიტაშვილი, სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ლევან ბასილაშვილი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გოჩა მეკოკიშვილი, მისი ძმა გოგიტა, ძმები კირაკოზაშვილები, ბადრი ბასილაშვილი, დავით ხოსიტაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის გიორგი რევაზიშვილი, სამბოში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი, ევროპის ორგზის ჩემპიონი დავით სვიმონიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის მამუკა კურდღელაშვილი, ნუკრი გაგნაშვილი, ლევან ჭიაბერაშვილი, ლაშა ცხვარიაშვილი, ნიკა გელაშვილი და სხვ.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ-75

ᲑᲘᲭᲘᲙᲝ მარიდაშვილს რაიონის “ძიუდოს პაპას” უწოდებენ. რაიონში პირველად მან შემოიტანა და ააღორძინა ძიუდო.

ღმერთმა ყველა სიკეთესთან ერთად ბიჭიკო მარიდაშვილს მენეჯერულ-ორგანიზატორული საქმიანობის ნიჭი და უნარი დაანათლა! მისი პირადი ინიციატივით საგარეჯოში, სოფ. გიორგიწმინდაში დანერგილი იქნა ვეტერან მოჭიდავეთა, სახელგანთქმული საგარეჯოელი მოჭიდავეების სახელობის ტურნირები, მემორიალები, თავის მეგობრებთან – მურთაზ ელერდაშვილთან, მიშა ქურხულთან და სხვ. ერთად ააღორძინა დანგრევის პირას მისული საჭიდაო დარბაზები – სოფელ გიორგიწმინდაში, საგარეჯოში. სოფელ გიორგიწმინდაში მისი უშუალო თაოსნობით აშენდა ახალი, კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი, რომელშიც დაეხმარა მაშინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ცნობილი ქართულის მოჭიდავე შოთა ეცადაშვილი. გაკეთდა და კეთილმოწყო სოფელ გიორგიწმინდაში ფეხბურთის მოედანი, ღია, ნახერხმოყრილი საჭიდაო არენა. დღეს, რომ საგარეჯო რესპუბლიკის მაშტაბით გადაქცეულია ჭიდაობის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად – ამ საქმეში ბიჭიკო მარიდაშვილის ლომის წილია ჩადებული! ბიჭიკო მარიდაშვილი ახლაც ენერგიით აღსავსე - ჩქარობს არ გამორჩეს არც ერთი ცნობილი საგარეჯოელი მოჭიდავე, რომ მას ჯეროვანი პატივი მიაგოს – ჩაატაროს მათი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო მაშტაბის სახელობითი ტურნირები, მემორიალები.

– ცნობილია, რომ ნიჭთან ერთად ცხოვრებაშიც და სპორტშიც – იღბალს, ბედისწერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება?

– შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებაშიც, სპორტშიც ბევრჯერ იღბალმა ზურგი შემაქცია! პირველი უიღბლობა იყო ჩემი შვილის ზაზას ტრაგიკული დაღუპვა 2000 წლის 15 მაისს ავტოავარიაში. ორჯერ უიღბლობის და მსაჯების არაობიექტურობის გამო ვერ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შემდგომშიც – როგორც საჯარო სამსახურში, ასევე, მწვრთნელის ამპლუაში მუშაობისას ბევრი უსაფუძვლო ტკივილი მომაყენეს ჩემმა გაზრდილმა მოსწავლეებმა, მაგრამ მე მაინც არ გავტყდი და დღესაც წარმატებით ვმუშაობ საგარეჯოს სპორტულ გაერთიანებაში – მწვრთნელად თავისუფალ ჭიდაობაში! ველოდები ცხოვრება კიდევ რა სიურპრიზებს შემომთავაზებს.

– ცნობილი ფაქტია, რომ მწვრთნელის მუშაობაში წარმატებები პირად ფაქტორთან ერთად, ბევრადაა დამოკიდებული სპორტის მესვეურთა მხრიდან როგორი თანადგომა, დახმარება იქნება?

– დღეს ჩემი აზრით, საგარეჯოს სპორტულ გაერთიანებას ჰყავს ღირსეული წინამძღოლი გია მაისურაძე, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა რაიონში სპორტის ყველა სახეობა აღორძინოს. გია მაისურაძეს, ჯერ კიდევ ადრე, მაშინ, როცა მე და მიშა ქურხული ვმუშაობდით ძიუდოს მწვრთნელებად, ბევრჯერ ჩვენი ნორჩი მოჭიდავეებისათვის ჩაუტარებია საწვრთნელი შეკრებები, დაუფინანსებია სხვადასხვა შეკრებებზე მათი წაყვანა და სხვა მრავალი ქველმოქმედებები ჩაუტარებია. იმედი მაქვს, რომ მისი მუშაობის პერიოდში სპორტში უფრო მეტი წარმატებები გვექნება.

ბიჭიკო მარიდაშვილი პირად ცხოვრებაშიც ჩემპიონი კაცია. ჰყავს ბრწყინვალე ოჯახი – მეუღლე ჟენია ჭიაბერაშვილი – დიასახლისი; შვილები – ლელა მარიდაშვილი-იურისტი, კახა მარიდაშვილი – ბიზნესმენი, შვილიშვილები – ქეთი მარიდაშვილი – დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ნინო მარიდაშვილი – დაამთავრა სამედიცინო მედდის სასწავლებელი, ბიჭიკო მარიდაშვილი – სწავლობს საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში, ლექსო მარიდაშვილი – სწავლობს თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ზაზა მარიდაშვილი – სწავლობს საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში, ბექა ხაჩიური – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თამთა ხაჩიური – სწავლობს თბილისის №186 საჯარო სკოლაში.

და ბოლოს, მთავარი სათქმელი – ჩვენს სახელოვან თანამემამულეს – ბიჭიკო მარიდაშვილს 2014 წლის 26 ივნისს უსრულდება დაბადებიდან 75-ე წლისთავი. მისაბაძია მისი სულის ძლიერება და გაუტეხლობა, რაც იმაში სახიერდება, რომ მიუხედავად უამრავი სიძნელეებისა, დღესაც ჩვეული რუდუნებით და სიბეჯითით განაგრძობს ქართული სპორტის წინსვლისთვის აქტიურ საქმიანობას; კვლავაც დიდხანს ხელიდან არ გაგეგდოს ეს მძიმე საჯილდაო ქვა, კვლავაც დიდხანს გედვაწოს ეროვნული სპორტის წინსვლისა და განვითარებისთვის. ბატონო ბიჭიკო, გილოცავთ მოახლოებულ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, პირად კეთილდღეობას, მეუღლის გამოჯანმრთელებას და ახალ-ახალ წარმატებებს თქვენი კეთილშობილური მიზნების აღსრულებაში. ღმერთმა დაგლოცოთ, იგი იყოს თქვენი შემწე და მფარველი მომავალშიც!

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲝᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“

„თქვენ ხართ კაცთა მოდგმის გამოზაფხულება და ლამაზ ფვილებად გაკვირტება“

ანანო (ანნა) ქურხული

საბარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მერვეკლასელია, საოცრად ცოცხალი გამომეტყველების, მუდამ მოძრავი, ინტერესიანი. უყვარს ყველაფერი, რაც ქართულია, რაც საინტერესოა და რაც მის ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს. სწავლასა და წიგნების კითხვაში „ეჯიბრება“ ორი წლით უფროს ძმას – გიორგის. უხარია, რომ რვა კლასს ამთავრებს ათიანებზე და ჯილდოს – კომპიუტერის მოლოდინშია. სკოლაში სწავლის პარალელურად დაამთავრა საგარეჯოს მუსიკალური სკოლის ექვსწლედი. კეთილმოგონებად მიჰყვება იქ გატარებული წლები და პედაგოგ მირცა ჯაფარიძესთან ურთიერთობის სითბო. სკოლაშიც ჰყავს თავისი საყვარელი პედაგოგები – თითქმის ყველა, მაგრამ ისტორიის მასწავლებელთან მარინა გულისაშვილთან და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ მარინა ნარიმანიშვილთან, ბიოლოგიის მასწავლებელ ნონა ტიგინაშვილთან სხვანაირი დამოკიდებულება აქვს. თუმცა, ანანოს ძალიან უყვარს ტექნიკური საგნები ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო საგნებს უფრო მეტი ინტერესით ეუფლება. ახლახანს თავის წინაპარზე მიხა ქურხულზე წააწყდა საინტერესო მასალას – ქართული ჭიდაობის კორიფე – ასე გაიცნო XX საუკუნის ბეჭდაუდებელი ქართველი ფალავანი XXI საუკუნის მომავალმა ენდოკრინოლოგმა. თემა პედაგოგ მარინა ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით დაამუშავა და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაგზავნა შემოქმედებით კონფერენციაზე, სადაც I ხარისხის დიპლომი აიღო. მაისში მიხა ქურხულის 135-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში იმით მიიღო მონაწილეობა, რომ საგარეჯოელი ფალავნის ბიოგრაფია და მოღვაწეობა გააცნო ტურნირზე მოსულ უამრავ ადამიანს.

მომავალ პროფესიად, როგორც აღვნიშნეთ, ენდოკრინოლოგობა აქვს არჩეული. თანაკლასელ მარი ყაჯრიშვილთან ერთად უნდა დაეუფლოს იმ საინტერესო მეცნიერებას, რომლის პირველი საფეხურები ნონა მასწავლებელმა გააცნო და დააინტერესა...

ახლა სასწავლო წელი იწურება და შიდასასკოლო გამოცდები აქვს. უხარია, რაც ვისწავლეთ, იმის შეჯამებას მოვახდენთ და მომავალი გამოცდებისთვის მომზადებული ვიქნებითო, – მითხრა ანანომ.

ნინი როსტიაშვილი

ნინის ცხრა წელი 28 ივნისს უსრულდება. მთელი ეს პერიოდი ნინის ერთი პასუხგაუცემელი კითხვა აწუხებს – რატომ არ შეუძლია გაიაროს? თუმცა ამ კითხვაზე თავადვე ამშვიდებს დედიკოს – ალბათ ღმერთს ასე უნდაო, მაგრამ ახლა კითხვას აბრუნებს – რატომ უნდა ღმერთს ასეო?!

ძალიან საყვარელი, ერთი სიფრიფანა გოგონაა, აინტერესებს ყველაფერი, მთელი სამყარო. ძლივს იმორჩილებს ფლომასტერს, მაგრამ ხატავს ლამაზ ყვავილებს, ხეებს, ბალახებს, ბავშვებს, ცხრათვალა მზეს. უხარია, როცა დედიკოს შეუძლია (ფიზიკურად) და დანგრეულ-დანჯღრეული ეტლით, დანგრეული, დახრამული გზით პატარა ჩაილურის სკოლაში მიჰყავს. იქ თავისი მასწავლებელი ლელა როსტიაშვილი და თანაკლასელები სიხარულით და სიყვარულით ხვდებიან, დედიკოს ეხმარებიან ეტლის და ნინის შენობაში შეყვანაში. ნინი მეორე კლასშია. გამართულად კითხულობს ზდაპრებს, ლექსებს, მოთხრობებს, შემდეგ კი აანალიზებს, ბევრზე ბევრ შეკითხვას უსვამს დედიკოს და მამიკოს. უფრო ხშირად დაფიქრებულია, ჩაფიქრებული...

საფიქრალი კი ბევრი აქვს. ჯერ დაუნდობელი დიაგნოზი: სპინალური ამინოტროფია, (ამ დიაგნოზის ბავშვები პატრიარქმა ილია II-მ ანგელოზებად მონათლა), შემდეგ სახლი, რომელიც თავზე როდის ჩამოექცევათ, არავინ იცის. სულ შიშშია, დედიკოს უამინდობისას ეხვეწება – არ დაეძინოთ და ნანგრევების ქვეშ არ მოყვნენ, ან სახლიდან გაქცევისას ჟანგბადის ბალიში არ დაავიწყდეთ... სოციალურად დაუცველები არიან (სულ 5900 ქულა) აქვთ... ან რა შეიძლება ჰქონდეთ, როცა ნინი დაბადებიდან უფრო ხშირად საავადმყოფოს ფანჯრიდან შესცქერის მზის ამოსვლა-ჩასვლას?!

ახლახანს დიდი სიხარული ჰქონდა, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქვიშის საათმა“ ნინის და მის ამხანაგებს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში ექსკურსია მოუწყო. შვიდ ივნისს კი მცხეთის სამთავროს მონასტერში წმინდა ბერი გაბრიელის წმინდა ნაწილების მოსაღოცად მიიყვანა... ნინის უხარია ეკლესიაში წასვლა, საათობით შეუძლია უყუროს ხატებს ,ილოცოს და თავის პატარა ხელებით სანთელი ეჭიროს...

ეკა, უფროსი და ენატრება ძალიან. ოჯახის უსახსრობამ ეკას ჯავახეთში მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში აპოვნინა თავშესაფარი. იქ ნინოწმინდის ეპარქიის მეუფის სპირიდონის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებიან ეკას თანატოლები.

ნინის ყველაფერი ენატრება, ყველაზე ძალიან კი თავისი, საკუთრება, ახალი ეტლი – ინვალიდის ეტლი, ოცნებობს მალე დაიგოს ასფალტი მის ქუჩაზე სკოლამდე, ოცნებობს დედა ჯანმრთელად ჰყავდეს, რომ მოუაროს, სკოლაში ატაროს...

სპორტი

ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

საბარეჯო

31 მაისს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში არსებულ ღია საჭიდაო მოედანზე ჩატარდა იოსებ მარხვაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. იოსებ მარხვაშვილი ახალგაზრდობიდანვე მონაწილეობდა იმ სახალხო თუ რელიგიურ დღესასწაულებში მოწყობილ შეჯიბრებებში, რომლებიც მხოლოდ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე არ ეწყობოდა. ჭიდაობის მოყვარული კაცი, რომელმაც თავისი შრომითი ბიოგრაფია მეცხვარეობით დაიწყო, დაინტერესებული იყო ყველა იმ ქართული ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ტრადიციებით, რომლებიც საგარეჯოელებს უყვარდათ და ყველანაირად ცდილობდნენ მის დაცვას. გარდა იმისა, რომ მონაწილეობდა ქართულ ჭიდაობაში, იყო ჭიდაობის დიდი გულშემატკივარი და მომავალი მოჭიდავეებისთვის ხელის შემწყობი, იგი სისტემატურად, ფინანსურად თუ მატერიალურად ეხმარებოდა სპორტსმენს სერიოზული შეჯიბრებისათვის მომზადებისა და მონაწილეობისათვის. თავად, როგორც ქართული ჭიდაობის მოყვარულ ქართველს, უარი არასოდეს უთქვამს მიეღო მონაწილეობა ჭიდაობაში და არც არავის ახსოვს მისი წაქცევა. იცოდა ქართული ჭიდაობის ფანდები, თუმცა არავის არასოდეს უსწავლებია, უბრალოდ იყენებდა მაშინ, როცა ეს დასჭირდებოდა – ჭიდაობისას.

მუშაობდა საგარეჯოს რაიკოოპერატივის მომმარაგებლად. სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა სპორტსმენებთან, შანსს არ უშვებდა, არ ტოვებდა არც ერთ ჭიდაობას, აწესებდა თავის ჯილდოებს. გასულ წელსაც, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ტერიტორიაზე არსებულ ღია საჭიდაო მოედანზე სწორედ მაისში მისი სახელობის ტურნირი ჩატარდა მისი შვილის გია მარხვაშვილისა და საგარეჯოს სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობის

ორგანიზებით. მაშინაც გათამაშდა პრიზები და „ჭედილა“. წელსაც არ უდალატეს ამ ტრადიციას. „ფალავნობაზე“ ერთმანეთს შეხვდნენ კობა მჭედლიშვილი და ოთარ კაციაშვილი. ჭიდაობის გულშემატკივარ გია ბედიაშვილის მიერ დაწესებული ჯილდო „ჭედილა“ წილად ხვდა ოთარ კაციაშვილს. ტურნირის გამარჯვებულებს გადაეცათ გია მარხვაშვილის მიერ დაწესებული პრიზები. ჩვენმა მოჭიდავეებმა კი თავი მართლაც რომ ისახელეს:

24 კგ წონით კატეგორიაში

I კევლიშვილი დავითი (გიორგიწმინდა)

II ადგილი: ჭიაურელი ვახტანგი (საგარეჯო) III-III ასათიანი საბა, სიმონიშვილი ნიკა (საგარეჯო).

27კგ წონით კადეგორიაში

I ადგილი სონიძე გიორგი (საგარეჯო).

II – რევაზიშვილი გიორგი (საგარეჯო)

III-III იობაშვილი თემური (გიორგიწმინდა), ზუკაკიშვილი გიორგი (პატარძეული)

30 კგ წონით კატეგორია

I გიქორაშვილი სოსო (ბოგდანოკა)

II ზუკაკიშვილი ლექსო (პატარძეული)

III-III ჩოკოშვილი ნიკა (ბოგდანოვკა), გეთიაშვილი სულიკო (კაკაბეთი)

34კგ წონითი კადეგორია

I ბაბაკიშვილი მინდია (საგარეჯო)

II დურიშვილი გიორგი (საგარეჯო)

III-III იობაშვილი ომარი (გიორგიწმინდა), არღვლიანი გიორგი (უდაბნო)

42კგ წონით კადეგორია

I ჭინჭარაული გიგა (საგარეჯო)

II ყორღანაშვილი როინი (საგარეჯო)

III-IIIხითარიშვილი ბექა (გიორგიწმინდა) ბუჩაშვილი ვასილი (გიორგიწმინდა)

46 კგ. წონით კატეგორია:

I – დურიშვილი თემური (საგარეჯო)

II- მეკოკიშვილი თამაზი (გიორგიწმინდა)

III-III- იოსელიანი საბა (უდაბნო) სიმონიშვილი ლუკა (საგარეჯო)

55 კგ წონით კატეგორია:

I- მღებრიშვილი გუგა (საგარეჯო)

II ჩიტიძე თორნიკე (თოხლიაური)

III-III დურიშვილი სოსო (საგარეჯო) მღებრიშვილი გოგიტა (ბოვდანოვკა)

მძიმე წონა (55კგ–ის ზევით)

I გურგენიძე მიხეილი (ბოგდანოვკა)

II კევლიშვილი ნიკა (გიორგიწმინდა)

III კევლიშვილი დათო (გიორგიწმინდა)

ბოგდანოვკა

9 ივნისს სოფელ ბოგდანოვკაში ჩატარდა ნიკო ნანუაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამ ტურნირის აბსოლუტური გამარჯვებული ოთარ კაციაშვილი გახდა, რომელსაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაწესებული პრიზი – ჭედილა გადაეცა. მაყურებელი აღფრთოვანებაში მოიყვანა პატარა კაკაბელი გიგა მასურაშვილის ჭიდაობამ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დავით კევლიშვილი – გიორგიწმინდა, გიგა მასურაშვილი, საბა ოთიაშვილი – ორივე კაკაბეთი, მირიან კურდღელაშვილი, მინდია ბაბაკიშვილი, ნოდარ ქურხული – ყველა საგარეჯო და ზაზა როსტიაშვილი – ჩაილური.

მათ კვლავ გვასახელეს

7-8 ივნისს ლენტეხში ჩატარდა საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა ძიუ-დოში. შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ საგარეჯოელი ძიუდოისტებიც. 73 კგ წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და ჩემპიონის წოდება მოიპოვა საგარეჯოელმა კობა მჭედლიშვილმა; 55 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა ირაკლი კუპატაძემ.

81 კგ წონით კატეგორიაში ასევე III საპრიზო ადგილი დაიკავა თამაზ კირაკოზაშვილმა, ხოლო 90 კგ წონით კატეგორიაში ასევე III საპრიზო ადგილზე გავიდა ზაურ მამარდაშვილი. ოთხივე მოჭიდავე შეყვანილია საქართველოს ნაკრებში. ასევე საქართველოს ნაკრების მწვრთნელების შექება დაიმსახურეს ივანე მამისაშვიულმა, სულიკო თედიაშვილმა, ზაზა როსტომაშვილმა, ოთარ კაციაშვილმა.

ისინი საქართველოს ნაკრებში არიან

7-8 ივნისს თბილისის ოლიმპიური რეზერვების სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონთა თასის გათამაშება, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოს პირველობაზე დასაყენებელი გუნდის გამოვლენას. აღნიშნულ შეჯიბრებაზე II ადგილი დაიკავა და საქართველოს ნაკრების წევრები გახდნენ: საგარეჯოელები ზურაბ ერბოწონაშვილი (74 კგ წონითი კატეგორია) და 70 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილის მფლობელი თორნიკე როსტიაშვილი.

სპორტი

როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

29 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. სპორტგაერთიანების ორგანიზებით სპორტდარბაზში როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. შეჯიბრს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მამუკა კურდღელაშვილი მსაჯობდა.

შეჯიბრში თბილისის, კასპის, თელავის, მარტყოფის, ყვარლის მუნიციპალიტეტების სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ, საგარეჯოს №1 და №2 საჯარო სკოლის დირექტორებმა თამარ ლაფაჩიშვილმა და ლელა ფანოზიშვილმა სხვადასხვა წონით კატეგორიებში I, II, III – ადგილზე გასულ გოგონებსა და ვაჟებს სიგელები და მედლები გადასცეს.

„ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“

„თქვენ ხართ კაცთა მოდგმის გამოზაფხულება და ლამაზ შვილებად გაკვირტება“

სანდრო ყაჯრიშვილი

დინჯად, აუღელვებლად, სერიოზული სახით მესაუბრება თავის თავზე. შეკითხვებს გულისყურით ისმენს, პასუხებს აზრობრივად აწყობს, აკონკრეტებს სათქმელს. ახლა უკვე მესამე კლასშია, საგარეჯოს I საჯარო სკოლაში. ეტყობა ძალიან მოსწონს თავისი I მასწავლებელი თეა ქოქრაშვილი. იცის, რომ ქალთა ანსამბლ „ჩინარის“ სოლისტია და ისეთი სიამაყით მეუბნება, ვხვდები, მის პაწია გულში რა ნაპერწკლები ტრიალებს.

მართალია, ჯერ ქულებსაც არ უწერენ მოსწავლეებს, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი სურვილი აქვს კარგად ისწავლოს, არ შეარცხვინოს თავის სკოლაში დედიკო, რომელიც ინგლისურ ენას ასწავლის და დაიკო, მარი – წარჩინებული მერვეკლასელი. ამ წარმატებებისკენ პირველ ნაბიჯებსაც დგამს. სულ ახლახანს, მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონკურს „კინგსში“ მიიღო მონაწილეობა. გავიდა პირველ ტურში, II ტურში, მესამეში და ათასი მოსწავლიდან, ვინც კონკურსში მონაწილეობდა, III ადგილი დაიკავა. გულდაწყვეტილობა ეტყობა – ბოლოს ცოტა რთული ამოცანები იყოო, მითხრა დანანებით. მაგრამ მეორეკლასელმა იმ შენობაში მიიღო კონკურსში მონაწილეობა, რომელშიც მამამისი, მისი ახლობელი ბიძები, მამიკოს ამხანაგები სწავლობდნენ – საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აუდიტორიაში. საამაყო როგორ არ აქვს, იქნებ მამამისმა, მისი ტოლი რომ იყო, არ იცოდა იმ კორპუსების, იმ აუდიტორიის ადგილმდებარეობაც?! – ვამშვიდებ მესამე ადგილით უკმაყოფილოს. რა ქნას?! პატარა, პაწია გული უდევს მკერდში – ქართული, ისეთი ქართული, რომ ტკივილამდე შეუძლია ყველასყველას და ყველაფრის შეყვარება, განცდა, პატრონობა. მართალია, კომპიუტერთან ჯდომა უყვარს, მაგრამ უფროს დას არასოდეს ეტყვის რამეზე უარს, არც თავისზე რამდენიმე თვით უფროს თანაკლასელ ბიძაშვილ ანის, ფერიასავით გოგონას. იცის, როგორი მოფრთხილება სჭირდება მარისაც და ანისაც. ტყუილად არ კითხულობს წიგნებს. ჯერ, მართალია ზღაპრებით დაიწყო კითხვა, თავგადასავლებით, მაგრამ ყველგან ამოიკითხა – ვაუკაცს, მით უმეტეს ქართველს რა თვისებები უნდა ჰქონდეს, თანაც ისიც იცის, თუ რამე „შეეშალა“, არც იმ კაცს მოეწონება, ვისი მოსახელეცაა. უყურებს, აკვირდება და თავადაც კარგად უწყის, ვის რა „ეშლება“, თუნდ თანატოლებს, თუნდ დიდებს და უფრო დიდებსაც.

მალე არდადეგები დაიწყება. „მომზადებული ხვდება“, იცის რა წიგნები უნდა წაიკითხოს, როგორ გაერთოს, რა ისწავლოს, როგორ დაისვენოს.

საბა დუჩიძე

ყველაფერი აინტერესებს. ყველა სირთულეს დინჯად, გონივრულად, დაფიქრებით ხვდება. სიარულიც კაცური, დინჯი, აუჩქარებელი იცის. საუბრისასაც ასეთია – მოზომილად გელაპარაკება, ზედმეტს არაფერს გეტყვის. თამაშობს ჭადრაკს, თუმცა თამაშობსო – ცოტა ზერელედაა ნათქვამი. სერიოზული წარმატებები აქვს, საათობით ეთამაშება მწვრთნელს ირაკლი ქვლივიძეს, სამომავლო წარმატებებსაც გეგმავს. მიადწევს კიდეც, დედა – ეკა ტაბატაძე ხომ საქართველოში კარგად ცნობილი მოჭადრაკეა?! გენები კი, მოგეხსენებათ, ათასწლეულობით გადაეცემა შთამომავლობას. ცეკვავს ქორეოგრაფიულ ანსამბლში, დადის ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლში – ქართული სიმღერების შესაწავლად, სამუსიკო სკოლაში ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლეა ფორტეპიანოს კლასში პედაგოგ ნელი ყანჩაშვილთან. ახლახანს გადაწყვიტა – კარატეზე იაროს, შეისწავლოს კარატეს ილეთები. როგორც ჩანს, ქართულმა სულმა საბრძოლო ხელოვნების შესწავლაც მოითხოვა, რომელსაც ჩვენ მშვიდობიან პერიოდში სპორტს ვუწოდებთ. ხელოვნების სკოლის კარებსაც შეხსნის და ასე ნელნელა შეისწავლის, შეიცნობს, დაეუფლება ყველა იმ მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის დარგებს, რომელთა შესწავლაც შემდეგ მომავალი პროფესიის სწორად შერჩევის საშუალებას მისცემს.

წარმატებები ვუსურვოთ საბას, რომელიც ჯერ პატარაა, საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის საკმაოდ წარმატებული უკვე მეორეკლასელი, მაგრამ დიდი ოცნებების, კარგად გამოხატული მომავლის ამოცანების განსახორციელებლად და გადასაჭრელად კარგად მომზადებული

ზუკა გამრეკელაშვილი

ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ბიჭი არ გეგონოთ. თუმცა ასაკის – 7 წლის შესაბამისად არც სიანცე აკლია და არც ცნობისმოყვარეობა. აინტერესებს ყველა და ყველაფერი. ამ თვისებას ხაზს მისი სათვალეებიც უსვამს, მის იქითა მხრიდან ინტერესით მომზირალი თვალების გამომეტყველებას რომ ამძაფრებს. საგარეჯოს II საჯარო სკოლის უკვე მესამეკლასელი წარმატებული მოსწავლეა

ზუკა ჭადრაკის სექციაზე დადის. დადისო, ვიტყვით, მაგრამ მხოლოდ ამ ერთი სიტყვით არ ამოიწურება ის პასუხისმგებლობა და ინტერესი, რაც მას აქვს ჭადრაკის შესწავლის მიმართ. მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძესთან ერთად საკმაოდ დიდი ნებისყოფით და დამაჯერებლობით უჯდება ჭადრაკის დაფას და ყურადღებით უსმენს მწვრთნელს, ფიქრობს, აანალიზებს და ისე აკეთებს იმ სვლებს, რომლებმაც მას წარმატებები უნდა მოუტანოს და მოუტანა კიდეც. სულ ახლახანს, გაზაფხულზე ზუკამ საქართველოს ჩემპიონატზე 7 წლიანებში 9 შესაძლებლობიდან 7 ქულით საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. ასევე, კახეთის ჩემპიონატში, სადაც ზუკა გუნდის კაპიტანი იყო, 7 წლიანებში კახეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო 8 წლიანებში მეორე ადგილს დასჯერდა.

უხარია ზუკას ეს წარმატებები და მეტი თავდაჯერებულობით ემზადება სამომავლო შეჯიბრებისათვის.

ხსოვნა

გია მარტიაშვილი

გია, როგორ მოგვანატრე შენი სახე. მხიარული გადიმება, სიხარული, სიყვარული. ძალიან მენატრები, ჩემო შვილო, ჩემი გული დარდით არის სავსე. უშენობა ძალიან ძნელია. ყველას გვენატრები – ელზას, მზიას, ლიას, რომანას და ამხანაგებს.

უკვე მეორე წელი სრულდება უშენოდ.

მე ვერა გამიგიაო
საით წახვედი გიაო.
გეძებ უბანში ბიჭებთან.
გეძებ ბირჟაზე გიაო.
მაგრამ არსად არ ჩანხარ
(არ ვიცი) მე ვერა გამიგიაო.
შენი დარდიანი დედა

გალინა მარტიაშვილი,
სოფ. პატარძეული

მილოცვა

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქტორს, ყოველივე ქართულის მოერთგულესა და მოჭირნახულეს, მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტ მიმდევარს, საუცხოო დედას, მეგობარსა და ყურადღებიან ხელმძღვანელს ქ-ნ **თინათინ ილაურს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებასა და გახარებას თავის შვილებთან ერთად.

დედა ღვთისა ყოფილიყოს მისი მფარველი.

„გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

დაბადების დღეს და სკოლის დამთავრებას ვულოცავთ საგარეჯოს IV სკოლის კურსდამთავრებულს **მარიამ დარბაისელს**, ვუსურვებთ გამარჯვებას – წარმატებით ჩაებარებინოს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მისთვის საოცნებო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა მიგველოცოს.

მარიამ, გვიყვარხარ, გვეამაყები და გვეიმედები.

დედიკოს თანაკლესელები

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ დეიდას **მარინა ილაურს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიყვარულს და ყოველივე კარგს თავის საყვარელ ოჯახთან და პატარა შვილიშვილ – ტატოსთან ერთად.

თამუნა და ნინო

დაბადების დღეს ვულოცავთ არაერთი საგარეჯოელი მოჭადრაკის დამფრთიანებელსა და გულშემატკივარს, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ჭადრაკის სექციის მწვრთნელს **ელენე ფარეშიშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, გამარჯვებებს დიდ წარმატებებს, რომლებიც ელენე თავდაუზოგავი შრომით, მოზარდთაობაზე ზრუნვით ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევს.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექცია, თანამშრომლები

ქეთო პაპუაშვილი

„ნეტავი ოდესმე გნახავთ, შვილებო?“ – ამ სიტყვებით დაგვტოვა დედამ. მაისი მისი დაბადების თვეა. ახალი რა უნდა დავწერო დედაზე, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა ჩემი სათქმელი.

.....

დე!..

შენი სუნთქვა რომ მათბობდა,
სულ სხვაგვარად თენდებოდა დღე
და კეკლუცი გაზაფხული
სხვანაირად მიხაროდა, დე!..
შენი გარჯა უანგარო,
მაგ თვალებით ნაფერები დღე,
შენი ჩუმი დარიგება,
მენატრება, მენატრება, დე!..
სულს სილაღე აკლია და
კვლავ უშენოდ გაილია დღე;
ვინ გამიგებს, ვის გავანდო საიდუმლო
მენატრები, მენატრები, დე!..
როგორ მინდა განმეორდეს
შენი ცრემლით დაცვარული დღე,
გულის სარკმელს გავაღებ და
შენ მოგიხმობ, შენ მაკლიხარ, დე!..
როგორ მინდა ჩაგეხუტო,
მოგილოცო დაბადების დღე,
შენს თბილ ხელებს მოვეფერო,
ავმღერდე და ავქვითინდე, დე!...
მითხრა, „დედა შემოგევლოს“,
ფრთაშესხმულმა დავაღამო დღე,
შენს მუხლებზე ჩამოვჯდე და,
დაგიამო გულის დარდი, დე!..
გაზაფხულდა, ყველგან გეძებ
და უშენოდ ფერმკრთალია დღე,
გულის სარკმელს მიჯაჭვულო,
შენ მოგიხმობ, მენატრები, დე!.

ნატო პაპუაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru